აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 12

24/08/2016 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის
ნარკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებული
ზოგიერთი პროცედურის განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე15 მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ პარტიული სიით წარდგენილმა და წინასწარი მონაცემებით სავარაუდოდ ამ სიით არჩეულმა უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებმა, რომლებიც იმავდროულად წარდგენილ იყვნენ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში და ვერ გაიმარჯვეს, შეუძლიათ აღარ გაიარონ ნარკოლოგიური შემოწმება, ვინაიდან აღნიშნული შემოწმების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ მიერ საარჩევნო რეგისტრაციის გასავლელად წარმოდგენილი იყო უსკოში.

მუხლი 2. ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ, შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საარჩევნო კომისიაში ერთ ცალად. საოლქო საარჩევნო კომისიაში ცნობის წარდგენის შემთხვევაში, კომისიის ბეჭდით დამოწმებული ასლი ეგზავნება უსკოს, ხოლო უსკოში წარდგენის შემთხვევაში – შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი